ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1075119

ნომერი: AR1189063

თარიღი : 10.01.2014

გაცემის თარიღი : 15.01.2014

გაცნობის თარიღი : 23.01.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის საცხოვრებელი რაიონი , საზოგადოებრივი ცენტრის , ტერიტორიაზე V და VI მ/რ-ს შორის , (ნაკვ. 7/1) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯეირან მეშველიანი პ/ნ 01011014229
- აწყურის ქუჩა 80

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2014 წლის 10 იანვარს #AR1189063 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ საკადასტრო გეგმით #01.11.10.007.016 მიწის ნაკვეთზე ავტოსერვისის ასაშენებლად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ, რომ აღნშნულ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოჰაუსი, სასტუმრო და რესტორანი) ასაშენებლად გაცემულია #133 (25.02.2009) გეგმარებითი დავალება და შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი (ბრძანება №757821), რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს მისი სამშენებლო განვითარება. თუ რაიმე ცვლილების განხორციელება გსურთ, შესაძლებელია განაშენიანების რეგულირების გეგმაში შევიდეს შესაბამისი კორექტირება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge